		ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	50	60	ხელის შეშლელი ბუნებრივი პირობები
		მაყურებელთა რაოდენობა	35000	40000	

გ) ქვეპროგრამა: ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	197.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა			
		ახალგაზრდა ლიდერთა ზამთრის სკოლა			25.0
		ახალგაზრდა ლიდერთა საზაფხულო სკოლა			20.0
		გაეროს მოდელირება (მემორანდუმი)			20.0
		ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა			110.0



5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოციალურად დაუცველი და შშმ ახალგაზრდების დახმარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია			5.0
		გაუთვალისწინებელი ღონისძიებები			2.0
		საერთაშორისო პროექტებში, კონკურსებსა და ფესტივალებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობა			10.0
		წლის შემაჯამებელი ღონისძიება			5.0
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წარმატებულად განხორციელებული ახალგაზრდული პროექტები			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 06 00): მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შედავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე, მნიშვნელოვანია ქალაქში რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრისის შექმნა და ამ მხრივ სოციალური ფონის გაუმჯობესება.

ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1,262.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუნარიო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების დროულად გამოსავლენად, ეპიდემიის დაცვით დაავადებულ პირთა ანტიკონტაქტებით უზრუნველყოფა.			
4	პროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ	შეთავაზებული	სერვისის	ხელმისაწვდომობა
6	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა			

ა.ა) ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა (პროგრამული კოდი 06 01 01)

1	ქვეპროგრამის	ააიპ „ქალაქ ქუთაისში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს
---	--------------	--



	განმახორციელებელი	უზრუნველყოფის ცენტრი“			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	200.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქუთაისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „C“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარიულ – ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, საშიშ დაავადებათა პრევენცია			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა		200.0	
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება			
7	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		გადამდებ დაავადებათა შემთხვევების რაოდენობა	3590	2500	დაავადებათა ახალი შტამების გაჩენა
		ჩატარებული აცრების რაოდენობა			

ა.ბ) ქვეპროგრამა: მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 02)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	230.0
3	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები, ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები, ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები და ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 65000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე და ნათესაურ / არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ პირებისათვის დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 150 ლარისა. ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები დახმარებით ისარგებლებენ ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით. ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, დახმარებით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ 200 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიცემა საგარანტიო წერილის საშუალებით. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მოკვლევის საფუძველზე, დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. ბენეფიციარი, დახმარების მიღების მიზნით, განცხადებასთან ერთად წარმოადგენს საჭირო დოკუმენტაციას. სოციალურად დაუცველი (65000-მდე სარეიტინგო ქულა) პირები წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ საბუთს, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, ანგარიშფაქტურას აფთიაქიდან და სოციალური მომსახურების სააგენტოდან – ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვების შემთხვევაში, დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანთა რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, შშმ ბავშვის მინდობით აღზრდაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან და ანგარიშფაქტურა აფთიაქიდან. ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანებზე, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს, დახმარება გაიცემა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მომართვის საფუძველზე, შემდეგი თანდართული დოკუმენტაციის შემთხვევაში: პაციენტის პირადობის მოწმობის ასლი, შშმ პირის დამადასტურებელი საბუთი, ვეტერანის

		დამადასტურებელი მოწმობის ასლი, შვილების დაბადების მოწმობის ასლები, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან და ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან. ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები წარმოადგენენ პირადობის დამადასტურებელ საბუთს, ანგარიშგაქტურას აფთიაქიდან და ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან. ბუძუს კიბოს ჰერცეპტინით მკურნალობის შემთხვევაში, პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ადრეული ბუძუს აგრესიული HER–2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირები, რომლებიც სარგებლობენ რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით.დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა,რეფერალური კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი, ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან. დახმარების მიღება განხორციელდება ბენეფიციარის არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე საგარანტიო წერილის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად რეფერალური კომისიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის მიხედვით წლიურად, არაუმეტეს 2000 ლარისა.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანებზე, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ან მიეკუთვნებიან 65 წლის ზემოთ ასაკის პირებს		40.0	
		ადრეული ბუძუს აგრესიული HER–2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების მედიკამენტებით (ტრანსტუზუმები) თანადაფინანსებაში დახმარება		20.0	
		სხვა ბენეფიციარებზე მედიკამენტებით უზრუნველყოფა		170.0	
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მედიკამენტების ხელმისაწვდომობა			
7	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	950	1000	არამომართვიანობა

ა.გ) ქვეპროგრამა: სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	750.0
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირებისათვის სამედიცინო მომსახურების, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე, შემდგომი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, მკვეთრად, ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირები, მარტოხელა მშობლები და მათი შვილები, „მრავალშვიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები, საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა საზოგადოება „მემორიალის“ ოჯახის წევრები, რომლებიც არ წარმოადგენენ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის 100% დაფინანსებით მოსარგებლეებს. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 1000 ლარისა, გამონაკლისს წარმოადგენს კარდიოლოგიური ავადმყოფები, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა პირი, ზემოაღნიშნულ პრიორიტეტულ ჯგუფს, რომლებიც დახმარებით ისარგებლებენ არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე, თანაგადახდის პრინციპით, არაუმეტეს 1000 ლარისა. რადიოლოგიური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შემთხვევაში, დახმარება გაიცემა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 100000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე და კარდიოლოგიურ პაციენტებზე. ყველა სხვა შემთხვევაში, დახმარების საკითხი განიხილება და გადაწყდება დაავადების სიმძიმის, მკურნალობის მეთოდის, ღირებულების, ბენეფიციარის მატერიალური მდგომარეობის მოკვლევის საფუძველზე და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ანგარიშგაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების შემთხვევაში, ბენეფიციარის სტაციონარიდან გამოწერამდე, მისი უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, მიმდინარე ფორმა №100-ს და წინასწარ ანგარიშგაქტურას. დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გამწევი დაწესებულება წარმოადგენს გაწეული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვას. ლიმიტს ზევით დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. ანალოგიური წესით



		განიხილება ყველა სხვა შემთხვევაში დახმარების საკითხი. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით მოსარგებლე, პირები, დახმარება გაიცემა არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე, როგორც მკურნალობის, ასევე, დიაგნოსტიკის შემთხვევაში, არაუმეტეს 1500 ლარისა. მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ანგარიშგაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ლიმიტს ზევით დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ხელშეწყობის მიზნით „C“ ჰეპატიტით დაავადებული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის, სამკურნალო ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პერიოდში, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მონიტორინგის ღირებულების 30% თანადაფინანსება. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს „C“ ჰეპატიტით დაავადებული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც ჩართული არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C“ ჰეპატიტის მართვის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე, სახელმწიფო პროგრამის „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის კომპონენტში. განსაზღვრული მომსახურება ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ, არაუმეტეს, დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულების 30%-სა. პროგრამით მოსარგებლე პირებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა №100, ანგარიშგაქტურა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი. საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სამედიცინო მომსახურება	500.0		
		„C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები	20.0		
		ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულის პირების სამედიცინო მომსახურება	230.0		
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2381	3000	არამომართვიანობა

ა.დ) ქვეპროგრამა: ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 04).

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	70.0
3	ქვეპროგრამის აღწერა	ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა. პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერისა და დანართის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად ფორმა №100-ის მიხედვით, არაუმეტეს 50 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, ამასთან, თითოეულ ბენეფიციარზე მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება გაიცემა სამ თვეში ერთხელ და შესაბამისად, დახმარების მიღება განხორციელდება, არაუმეტეს 150 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ფორმა №100 და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ლიმიტს ზემოთ დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ, დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე.



		შესწავლის საფუძველზე, გამოწვევის შემთხვევაში.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მედიკამენტებით დახმარება			70.0
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მედიკამენტების ხელმისაწვდომობა			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	180	190	არამომართვიანობა

ა.ე) ქვეპროგრამა: ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 05)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	12.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით დაავადებული პირების დახმარება. პროგრამით მოსარგებლე არასრულწლოვან პირებს დახმარება გაეწევთ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადების მომართვის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 100 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად საჭიროა ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, არასრულწლოვანის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელ მოწმობა, ფორმა №100 და ანგარიშის რეკვიზიტი ბანკიდან.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება			12.0
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხელმისაწვდომი სპეციფიკური საკვები			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5	10	არამომართვიანობა

ბ) პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	3,838.5			
		პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების			



3	ქვეპროგრამის აღწერა	სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.			
4	პროგრამის მიზანი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			
5	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისის ხელმისაწვდომობა ბენეფიციარებისათვის			
6	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა			

ბ.ა) ქვეპროგრამა: სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში ფუნქციონირებს სოციალური საცხოვრისი, სადაც ცხოვრობს სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა პირობების გასაუმჯობესებლად საჭიროა საცხოვრისის გამართული ფუნქციონირება.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურ საცხოვრისში მცხოვრებთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა			50.0
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფილი საცხოვრისი			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	14	95	

ბ.ბ) ქვეპროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1,000.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქის დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია მრავალშვილიანი ოჯახების წახალისება და დახმარება.			



4	ქვეპროგრამის მიზანი	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0-დან 70000-მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ მატერიალური დახმარება თვეში 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში, დახმარება განისაზღვრება თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული და მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში დახმარების დანიშნამდე არანაკლებ ერთი წლისა. მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება დაენიშნებათ განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში, არასრულწლოვან ბავშვს დახმარება შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარებით ვერ ისარგებლებს არასრულწლოვანი ბავშვი, თუ ის იმყოფება სახელმწიფო კმაყოფაზე. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტი) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევთ ერთჯერადად, კერძოდ, 5 (ხუთი) შვილიან ოჯახს – 500 ლარის ოდენობით, 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილიანი ოჯახის დახმარება შეადგენს 1000 ლარს. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც 2019 წელს შეეძინებათ მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევთ ერთჯერადად. მე-4 შვილის შეძენისას დახმარება გაეწევა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, მე-5 შვილის შეძენისას – 1100 (ათასასი) ლარის ოდენობით, მე-6 შვილის შეძენისას – 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით, მე-7 შვილის შეძენისას – 1300 (ათასსამასი) ლარის ოდენობით, მე-8, მე-9 და ა.შ. შვილის შეძენისას – 1400 (ათასოთხასი) ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ, მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების, ან არსებულის გაფართოება–გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების სახით. მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებს 20 ლარის ოდენობით ელექტროენერგიის თანადაფინანსებას			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0-დან 70000-მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე, მატერიალური დახმარების გაწევა		270.0	
		მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი, სხვა დანარჩენ შემთხვევაში თითოეულ არასრულწლოვან შვილზე, მატერიალური დახმარების გაწევა		480.0	
		მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის შეძენისას მატერიალური დახმარების გაწევა		90.0	
		მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტი) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევა ერთჯერადად		70.0	
		მრავალშვილიანი ოჯახების მიერ, მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების, ან არსებულის გაფართოება – გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება / თანადაფინანსების სახით		30.0	
მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებენ 20 ლარის ოდენობით ელექტროენერგიის თანადაფინანსებას		60.0			
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	548	570	არამომართვიანობა



ბ.გ) ქვეპროგრამა: სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	30.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ემსახურება საქართველოს კანონების „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარების საკითხი. დახმარებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯის გამღები პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	გარდაცვლილი ვეტერანის პატივგება			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სარიტუალო დახმარება			30.0
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სარიტუალო პროცესი			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	18	N/A	არამომართვიანობა

ბ.დ) ქვეპროგრამა: სოციალური ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	316.7			
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების სამკურნალო – სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) სამკურნალო – სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა (სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში). განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, დახმარების საკითხი გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა (ექიმის რეკომენდაცია) და გარემოებების გათვალისწინებით.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა			
		I იანვარს, ქალაქ ქუთაისში დაბადებული ახალშობილების მშობლების (ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული / მცხოვრები) მატერიალური დახმარება. თანხა განაწილდება პროპორციული წესით			5.0



5 კვეპროგრამის ღონისძიებები

15 თებერვალს, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის წლისთავთან დაკავშირებით, ავღანეთის ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობის ქსეროასლები)	6.0
26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, დასავლეთ საქართველოს ჩერნობილელ ინვალიდთა კავშირის მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობის ქსეროასლები)	10.5
9 მაისს, ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად (მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, პირადობისა და ვეტერანის მოწმობის ქსეროასლები), თითოეულს არაუმეტეს 1000 ლარისა	25.0
აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	60.0
საზაფხულო დასვენების მოწყობა შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) 3–18 წლის შშმ პირებისათვის, მათი მომვლელებისათვის და 18 წელს ზემოთ შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციის ბენეფიციარებისათვის (საჭიროების შემთხვევაში ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მომვლელი), რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150000–ს	105.0
2008 წლის 8 აგვისტოს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები დაღუპული მეომრების ოჯახების მატერიალური დახმარება. დაღუპული მეომრის ოჯახის წევრის ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე ოჯახს, ერთჯერადად მიეცემა მატერიალური დახმარება 1000 ლარის ოდენობით	9.0
17 ოქტომბერს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით, ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება (თანხა განაწილდება პროპორციული წესით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ბენეფიციართა სიის შესაბამისად, მომართვას უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტი, შშმ პირების სტატუსის, პირადობისა და ვეტერანის მოწმობის ქსეროასლები)	10.2
ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	60.0
„წითელი ჯვრის“ ქუთაისის ორგანიზაციის მხარდაჭერა	15.0
ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების ფარგლებში, გვირგვინებისა და თაიგულების შეძენა	1.0
ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირის ხარჯი	2.0
„ჯანმრთელი დედები – ჯანმრთელი მომავალი“	3.0



		100 და მეტი წლის ბენეფიციარების მატერიალური დახმარება, თითოეულს 1000 ლარი			5.0
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5606	5700	არამომართვიანობა

ბ.ე) ქვეპროგრამა: სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 05)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	200.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. პროგრამა ითვალისწინებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერგიისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების თანადაფინანსებას. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0–70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, დახმარებით მოსარგებლე ოჯახებს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება აუნაზღაურდება შემდეგი პრინციპით: ერთწევრიან და ორწევრიან ოჯახებს 48 ლარი, სამ, ოთხ და ხუთწევრიან ოჯახებს – 72 ლარი, ექვს და შვიდწევრიან ოჯახებს – 96 ლარი, რვა და მეტ წევრიან ოჯახებს – 120 ლარი. თანხები გადანაწილდება თვეების მიხედვით პროპორციულად. თანხა აუნაზღაურდება მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების მქონე ბენეფიციარებს. ელექტრო ენერგიის ღირებულების ანაზღაურება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიის („ენერგო-პრო ჯორჯიას“) ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0–70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, დახმარებით მოსარგებლე ოჯახებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულება აუნაზღაურდება სულზე 0.5 (ორმოცდაათი) თეთრი. თანხა ანაზღაურდება აბონენტის ნომრის მიხედვით. ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. სსიპ სოციალური სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში ელექტროენერგიის აბონენტის ნომრის არარსებობის შემთხვევაში, ბენეფიციართა აბონენტის ნომრების იდენტიფიცირება მოხდება მოქალაქის (ბენეფიციარის) განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადისტრიბუციო კომპანიის „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერი (ქვითარი), სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციართა რაოდენობა დაუზუსტებელია და დაზუსტდება პროგრამის მიმდინარეობისას.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა საყოფაცხოვრებო ყოფითი პირობების გაუმჯობესება			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების თანადაფინანსება	180.0		
		სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების	20.0		



		საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების თანადგენისგება			
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	3268	2700	არამომართვიანობა

ბ.ვ) ქვეპროგრამა: განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა (პროგრამული კოდი 06 02 06)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	152.0
3	ქვეპროგრამის აღწერა	მზრუნველობამოვლელთა ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებს, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან, ან შეიღობა აყვანილი, მათთვის დამოუკიდებლად ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დახმარების გაწევა, სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, მიტოვების რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად და ასევე, სახელმწიფო მზრუნველობიდან რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით, მატერიალური დახმარების გაწევა, ჰემოდიალიზზე მყოფი პირების (პაციენტების), მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი: ბავშვთა დაწესებულების (ფილიალების) ყოფილი აღსაზრდელები, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან გამოსული პირები, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება, ოჯახები, რომელთა წევრთა შემადგენლობიდან სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულია, ან რეინტეგრირებულია ერთი, ან მეტი ბავშვი და აქვთ ამ პროგრამაში ჩართვის საჭიროება, ჰემოდიალიზზე მყოფი პირები (პაციენტები), რომელთაც აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება. ქვეპროგრამის პირველი და მეორე პუნქტის სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება კომპეტენტური ორგანოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს) მიერ, გაცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იქნება პირის სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებისა და ვადების შესახებ, დოკუმენტაციის თან უნდა ახლდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი წესით შემუშავებული და გაცემული დასკვნა-რეკომენდაცია ქვეპროგრამაში 18 წელს მიღწეული პირის, ან ოჯახის ჩართვის საჭიროების შესახებ. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის პირველ პუნქტში მითითებულ პირთა წრის დახმარება განსაზღვრულია თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. დახმარების მიღების უფლება წარმოეშობათ სრულწლოვანების მიღწევის მომდევნო თვიდან მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასასრულამდე. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, თითოეულ ბენეფიციარზე, ჯამში არაუმეტეს 12 თვისა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მეორე პუნქტში მითითებულ ოჯახებს დახმარება გაეწევათ თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. მატერიალური დახმარება მიეცემა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და იმავდროულად, ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახს/პირს, რომელსაც 2019 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2019 წლის განმავლობაში მოიპოვეს ამ უფლებას. დახმარების გაცემის ვადა განისაზღვრება რეინტეგრაციის მოქმედების ვადით. ბენეფიციარებს დახმარების მისაღებად უფლება წარმოეშობა, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. პროგრამაში ჩართული ოჯახები მატერიალური დახმარებით დაკმაყოფილებიან რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამით მომსახურების ვადის დასრულებამდე 2019 წლის საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გამონაკლის შემთხვევაში, მატერიალური დახმარება შესაძლებელია, დასკვნა – რეკომენდაციის საფუძველზე გაიცეს ბავშვის ჰემოდიალიზ ინტერესიდან გამომდინარე, მისი ოჯახში დაბრუნებამდე ერთი თვით ადრე. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მესამე პუნქტში მითითებულ ჰემოდიალიზზე მყოფ პირებს დახმარება გაეწევათ თვეში ერთხელ 100 (ასი) ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ბენეფიციარის განცხადებით მომართვიდან, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარები რეგისტრირებული (მცხოვრები) უნდა იყვნენ ქალაქ ქუთაისში. ბენეფიციარებმა განცხადებასთან და პირადობის დამადასტურებელ მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე. ჰემოდიალიზზე მყოფმა პაციენტმა ცნობა – სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა №100). პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლისა და პროგრამით



		გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარის, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და სრულწლოვანების გამო შეუწყდა მომსახურება, მატერიალური დახმარება		12.0	
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) ჰემოდიალიზზე მყოფი ბენეფიციარების მატერიალური დახმარება		104.0	
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და იმავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახის/პირის მატერიალური დახმარება, რომელსაც 2019 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2019 წლის განმავლობაში მოიპოვებს ამ უფლებას, მის შეწყვეტამდე		36.0	
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	120	140	არამომართვიაანობა

ბ.ზ) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	35.0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, მათთვის უმთავრესი საჭიროების მქონე ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ, ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი საღვთქებით დახმარება. დახმარების მთხოვნელი ყოველთვიურად, განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელ საბუთს, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობას აღნიშნული შშმ ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ, ანგარიშგაქტურას აფთიაქიდან. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ყოველთვიურად მომზადდება 40 ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	ბენეფიციართა დახმარება			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება ჰიგიენური საფენებით		30.0	
		ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება სველი საღვთქებით		5.0	
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	.			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე			



		ბენეფიციართა რაოდენობა	75	100	არამომართვიანობა
--	--	---------------------------	----	-----	------------------

ბ.თ) ქვეპროგრამა: უფასო მგზავრობა (პროგრამული კოდი 06 02 08)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული – სოციალურ საკითხთა სამსახური			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	293.8			
3	ქვეპროგრამის აღწერა	საქალაქო ტრანსპორტით, ავტობუსით: №1 წრიული (მარცხენა), №1 წრიული (მარჯვენა), №4, №5, №10, №19, №20, №22, №25, №31 – სარგებლობის უზრუნველყოფა შემდეგი კატეგორიის პირებისათვის: ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის“ ბენეფიციარები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები (ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის კოდი: 100, 111, 112, 113), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად შშმ პირები (კოდი: 311, 312, 313), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულის ოჯახის წევრები (კოდი: 501), „წითელი ჯვრის“ კლუბების ხანდაზმული პენსიონრები (100 ბენეფიციარი), „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე დედები, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, „SOS“ ბავშვთა სოფლის ბენეფიციარები, სტუდენტური ოჯახები (ცოლი და ქმარი, ორთავე სტუდენტი) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავმჯდომარის) ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები ბენეფიციარები. სულ 1000 პირი. ქვეპროგრამით სარგებლობა მოხდება სამგზავრო მოწმობებისა და ბილეთების გამოყენებით, ბილეთის ფასი 40 თეთრი. ბილეთის გამოყენება შეიძლება სამგზავრო მოწმობასთან ერთად. ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირები. სამგზავრო მოწმობის მისაღებად საჭიროა ფოტოსურათის, პირადობის მოწმობისა და კატეგორიის მიმანიშნებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ეკონომიის ხარჯზე, შესაძლებელია დამატებითი კატეგორიის კონტინგენტისა და განსაკუთრებული შემთხვევების მომსახურება სამსახურის გადაწყვეტილებით. ბენეფიციარებზე გაიცემა თითოეულზე თვეში 60 (სამოცი) ბილეთი (ბილეთის მისაღებად აუცილებელია ბენეფიციარმა წარმოადგინოს უფასო მგზავრობის მოწმობა). ქვეპროგრამაზე მომსახურე გადამზიდავებისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გახარჯული ბილეთების რაოდენობის მიხედვით.			
4	ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე პირთა რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	მოსარგებლე პირთა კონტიკენტის (ბენეფიციართა) დადგენა. სამგზავრო მოწმობებისა და ბილეთების დამზადება, გაცემა, საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობა		180	
		ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურება		113.8	
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
7	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	შესაძლო რისკები
		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	994	1000	არამომართვიანობა

ბ.ი) ქვეპროგრამა: უფასო კვება (პროგრამული კოდი 06 02 09)

1	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“			
2	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	650,0			
3	ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვება დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდება ოჯახებში ყოველდღიურად.			



4	ქვეპროგრამის მიზანი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საკვების ხელმისაწვდომობა			
5	ქვეპროგრამის ღონისძიებები	ადმინისტრაციული ხარჯი			220.0
		კვების ხარჯები			430.0
6	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება			
